

საქართველოს პარლამენტის  
დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა  
თანამეგობრობიდან გამოსვლის  
მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ:

საქართველოს დსთ-ში შესვლა გამოწვეული იყო რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის შედეგად.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ ვერ უზრუნველყო მისი ეგიდით ხელმოწერილი ეკონომიკური, სოციალური და სხვა შეთანხმებების რეალური ამოქმედება და დაცვა.

საქართველოს კონფლიქტურ ზონებში დსთ-ის ეგიდით განხორციელებული ყველა სამშვიდობო მისია რეალურად სეპარატისტული რეჟიმების შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. მიზანშეუწონლად ჩაითვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს წევრობა;
2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, 2006 წლის 1 დეკემბრამდე საქართველოს პარლამენტს წარმოუდგინოს წინადადებები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე

ნინო ბურჯანაძე

თბილისი,  
2006 წლის - - ნოემბერი  
№ - - - III